შაბათი, 28 თებერვალი 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-დამეხვე 1904.

შაბათი, 28 თებერვალი 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 8 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 9 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 52 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 52

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ, მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

პირველ მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 8 მან. 75 კაპ.

გამოვიდა ⅆ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

**ლალაში**

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

**ფოტოგრაფია**

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

**იჯარით აქვს**

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

**ახალი წიგნები**

**წიგნის მაღაზია „ცოდნა-“ს**

**გამოცემა.**

| | |
|---|---|
| **გრიგოლ ორბელიანის ლექსები** სურათით . . | 20 კ. |
| **წმინდა გიორგის რაზმი** . . . . | 5 ,, |
| **სამეგრელოს სერო სკოლები** ლოლუასი | 5 ,, |
| ჩვენი გამოცემანი. | |
| **სიმღერა** აკაკისა . . . . . | 15 ,, |
| **თამარ მეფე** . . . . . | 5 ,, |
| **ვაჭრული ჭკუა** . . . . . | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე** და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა | 5 ,, |
| **პატარა ჩონგური** ლექსები (დედა-ენა) . . | 5 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) . . . | 5 ,, |
| **ორი ქოსატყუილა** / **ბიჭია მენახშირე** / **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი . . | 10,, |
| **აბრამის და იობის ლექსი** . . . . | 3, |
| **სურათი თამარ მეფისა** . . . . | 5,, |
| **კულტურა** ლიპერტისა . . . . | 50,, |
| **ლექსიკონი** რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა . . | 50 ,, |

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.

ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.** 10—9

**ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.**

,,ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ ,,ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 **მან.**).

იმპერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობა-მოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, მოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი ლევ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით ⅆ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა ⅆ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

(30—6.—2).

პირველ თებერვლიდგან 19 4 წლიხა

**დიდუბეში,**

გორის ქუჩაზედ, გაიმართა ახალი

**ფოტოგრაფია**

**„რემბრანტი“**

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს ძალიან იაფად.

3—2

იოსებ იმედაშვილისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, «ცხოვრების სარკის» (პიესების კრებულის) მე-II ნაწილის ბეჭდვა შეჩერებულია; დროებით შეჩერებულია აგრეთვე «უცხო სიტყვათ ლექსიკონის» ბეჭდვაც. წიგნის ბეჭდვა თავის დროზე დაუყოვნებლივ დაიწყება და სწრაფად დამთავრდება. ვინც «ცხოვრების სარკეს» ეხლავე დაიკვეთს, მანეთად დაეთმობ, მერე-კი მეტი ეღირება.

Книжный магазинъ, ергіевская ул., домъ Арджеванидзе.

Аннѣ Николаевѣ Имедашвили.

ანნა იმედაშვილისა.

(5 თებ. – 2)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანეთი.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

**ექიმი**

**ვ. დ. ლამბაშიძე**

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**შ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისდა ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი**—დასტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1-1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1-1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

**ისყიდება**

2 და 3 წლის საუკეთესო ხარისხის ვაშლისა, მსხლისა და სხვა ხეხილი, მებაღის ჰაჯი იზმაილ-ოღლის ბაღიდან ჩამოტანილი.

(3—42—3)

გამგეობა ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ამით აცნობებს ბ-ნთ წევრთ, რომ ოთხშაბათს, 31 მარტს ამა 1904 წლისას, დილის ათ საათზედ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია საზოგადო წლიური კრება წევრებისა.

**განსახილველი საგნებ:**

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1903 წლის განმავლობაში.

2) ხარჯთ-აღრიცხვა ამა მდგომარე 1904 წლისა.

3) არჩევნები გამავალთა სამაგიეროდ საბჭოს ორის დეპუტატებისა, გამგეობის ერთის წევრისა, წლიურის ანგარიშების შემმოწმებელ კომისიისა, სამის წევრისა ⅆ სამის ამათის კანდიდატებისა, წესდების მე-44, 53 და 70 პარაგრაფების თანახმად.

წესდების § 37 ძალით, თითოეულ საზოგადოების წევრთაგანს შეუძლიან იქონიოს მხოლოდ ორი ხმა, ერთი თვისი და მეორე ვექილობის ძალით.

ხმის უფლება გადაეცემა საზოგადოების გამგეობის სახელზედ შემოტანილი უბრალო წერილის ძალით, კრებამდის სამი დღით წინ.

ზუგდიდის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე არეტა დგებუაძე.

დირექტორი ნესტორ ელიავა.

(3—6.—1)

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

მეომართა გეგმები.—იაპონელების სათადარიგო ჯარი.—იაპონიის სესხი.—რუსეთის ერთგვარი «ინტელიგენტები».—ამერიკელების თანაგრძნობა და სიძულვილი.—წვრილი ამბები. ახლო აღმოსავლეთი.

სამხედრო კრიტიკოსები არჩევენ მეომართა გეგმებს, მაგრამ გადაწყვეტით დასკვნას ვერ დასდგომიან. მომეტებულ ნაწილს არა სჯერა გაზეთების ამბები, ვითომც იაპონიამ სხვა-და-სხვა ადგილს გადაიყვანა თვისი ჯარი და ჰფიქრობენ, ასე არ გააბნევს ჯარს, არამედ ერთს ადგილიდგან დაიწყებს წინსვლასაო. თუ რომ საკმაო ძალა ექმნებათ, პოსიეტის ნავთსადგურიდგან ხარბინზე გაილაშქრებენ და რუსეთის სამხრეთის ჯარს გზას გადაუჭრიანო. თუ არა და, რუსებს მუკდენისაკენ დასწევენ და პორტ-არტურს ალყას შემოაკვრენო. იგივე სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთი მედგრად დაიცავს პორტ-არტურს, ვიდრე ძალიან არ გაუჭირდება და თავის უმთავრეს ძალას მუკდენსა და ხარბინს შუა იყოლიებენ, საიდგანაც, ახალი ჯარი რომ მიემატებათ, კორეისაკენ გაემართებიანო. («ნ. ვ.»).

—

იაპონიას პირველის რიგის სათადარიგო ჯარი უკვე შეუკრებია და ზღვის პირას დაუყენებია, რომ მალე გადაიყვანოს, სადაც საჭიროება მოითხოვს. ეხლა მეორე რიგის შეკრებას შესდგომია. იაპონიის რკინის გზები სულ ჯარის გადაყვანას უნ-

დება. მატარებლები ისე მცირე ხანს ჩერდება სადგურებზე, რომ ჯარის კაცებს ვაგონიდგან გადმოსვლაც არ შეუძლიანთ. იქვე აჭმევენ და ასმევენ და ლამეც-კი არსად აჩერებენ. ტოკიოსა და კობეს შორის ორიოდე სახალხო მატარებელი და დადის. (იქვე).

—

ლონდონში უკვირთ ის ამბავი, რომ იაპონიის სესხი მალე განაღდდა და სესხის ქაღალდები სწორედ იმ ფასად დაიკვეთეს ზოგიერთმა სავაჭრო ფირმებმა, როგორც აწერიათ, ე. ი. იენი—იენად და, მაშასადამე, ბანკირებს არავითარი სარგებლობა არა აქვთ ამ სესხის განაღდებით. ეს კია, რომ ამ ბანკირთა შორის არც ერთ ინგლისელ ფირმის სახელი არ ურევია. რას უნდა მოასწავებდეს ეს ამბავიო,—ამბობს «ნოვოე ვრემია»—გულითადს მეგობრობას, თუ სხვა რამ ანგარიშსაო!

—

რუსეთის საზოგადოება ჰგრძნობს თავისს ძალ-ღონეს და საერთოდ თავდამოდებით ეგებება ომს. მაგრამ არ შეიძლება აქა-იქ არ შევნიშნოთ სარკასტიული ღიმილი და არ გაიგონოთ დაცინვის კილოთი წარმოსთქმული მსჯელობა. თანაგრძნობის მანიფესტაციებს მოჰყვა საწინაალმდეგო მანიფესტაციაცო,—ამბობს «ნ. ვრ.»,—«ნუ გგონიათ, რომ მოწინაალმდეგენი მხოლოდ უცხოელნი იყვნენ. არა, არიან წმინდა რუსნი შთამომავლობით, რომელთაც ეშინიან რუსეთის გამარჯვებისა და მოწადინებულნი არიან, იაპონიამ გაიმარჯვოსო. საყურადღებოა, რომ ამის მსურველნი, ეს ჩვენის აღზრდისაგან დამახინჯებულნი არსებანი თავის თავს რუსეთის მტრად-კი არა სახავენ, არამედ რაღაც ნამეტან-პატრიოტებად იწოდებიან: რუსების დამარცხება, წარმოიდგინეთ, შინაურ პროგრესს გამოიწვევს მომავალშიო. და ამის საბუთად მოჰყავთ დაფლეთილი მაგალითი: სევასტოპოლმა 19 თებერვალი მოიყვანაო. ამ ინტელიგენტებს თვითონაც ვერ შეუგნიათ, რომ ამისთანა მოსაზრებით აქარწყლებენ რადიშჩევსა და პუშკინს, დეკაბრისტებსა და ორმოციან წლების მოღვაწეებსაც».

«პეტერბურგის უწყებებიც» ეხება ამ საგანს და ამბობს: ჩვენში მსჯელობის დროს შუა გზაზე შეჩერება არ იციან, უთუოდ პირდაპირ უნდა გაავლონ ხაზი: «ჩვენ აკლება გვარგებს, მაშასადამე, ხელი უნდა შევუწყოთო... მაშ შევკრიბოთ ფული განვითარებულ იაპონელების სასარგებლოდაო. ამბობენ იმისთანა «ინტელიგენტებიც» არიან, რომლებიც ამისთანა პოლიტიკას ადგანანო. ამისთანა ფანტაზიურ ჭკუა-გონების დახშვა ცხოვრების გაუგებლობას ამტკიცებს რაღაც ველური წარმოუდგენელი მოსაზრებაა. აკლების მსურველს ის უნდა, რომ ერთის «მუჟიკის» მაგიერ ასი მოჰკლან და ასის დასახიჩრების მაგიერ ათასი დაასახიჩრონ. აკლებას, ხაზინის დაცლის გარდა, რასაც, შესაძლოა, ეშველოს როგორმე, ხალხის გალატაკებაც მოსდევს და ჩვენი სოფელი სიმშილით ამოწყდება. მაინცა-და-მაინც ვნახოთ რა გამოვაო,—გაიძახიან,—იქნება, ახალი, უკეთესი წესწყობილება შემოვიდესო».

ამისთანა «ინტელიგენტი» ძალიან ცოტაა,—ამბობს გაზეთი,—და ზნეობრივს გავლენას ვერ იქონიებს, ხოლო არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ეს ამბავი, რადგან ლექსიდგან სიტყვას ვერ გამოსტოვებო.

—

რუსეთის ელჩს ვაშინგტონში ბაასი ჰქონია ნიუ-იორკის ერთ გაზეთის თანამშრომელთან შესახებ იმისა, რომ ამერიკის მწერლობა მძულვარებას იჩენს რუსეთისადმი. გრაფ კასსინმა მოაგონა ჟურნალისტს, თუ როგორი მეგობრობა არსებობდა რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის.

რითი აიხსნება, რომ მომეტებული ნაწილი ამერიკის ხალხისა მტრულად უყურებს რუსეთსაო?—ჰკითხა ჟურნალისტმა.

ეგ გრძნობა, ჩემის აზრით, უფრო კიშინიოვის ამბავმა გამოიწვია, რომელიც მეტად გააზვიადეს, და აგრეთვე სხვა სახელმწიფოების მეცადინეობამ, რადგან სცდილობენ უნდობლობა აღძრან რუსეთისა და ამერიკის მთავრობათა შორის. მე ისე კი არ გესაუბრებით, როგორც რუსეთის წარმომადგენელი, არამედ როგორც კერძო რუსი. ამერიკელებსა და რუსებს არაოდეს არა ჰქონიათ ერთმანეთში შური და მტრობა. ვინც-კი თქვენგანი ყოფილა რუსეთში, დარწმუნდებოდა, რა თანაგრძნობასა ვგრძნობთ ჩვენ ამერიკისადმი. ყველა რუსმა იცის, რომ ჩვენ დიდის ხნის მეგობრობა გვაქვს. 130 წელზე მეტია ეს თანაგრძნობა შეურყეველად არსებობს. გაიძვერული თავდასხმა იაპონელებისა ჩვენ ისე არა გვწყენია, როგორც სიხარულის ბუკი ამერიკელებისა. ხოლო მტრული გრძნობა ჩვენდამი საერთო არ არის ამერიკაში, ეს მე კარგად ვიცი. ევროპაში-კი ჰგონიათ, ვითომც ამერიკა იაპონიას გაუმეგობრდა და რუსეთს გადაემტერა. მე ვიცი, რომ ამერიკის მთავრობა იმ გრძნობით არ არის გამსჭვალული და მცირე მიზეზსაც არ გვაძლევს წყენისას. ხალხშიაც-კი ამ მძულვარებამ იკლო. ბოლოს დროს მე ყოველ დღე მომდის ამერიკის სხვადა-სხვა კუთხიდან, საზოგადოებათა და კრებულთაგან თანაგრძნობის წერილები და დეპეშები. სწორედ აგრეთვე, რუსეთშიაც მოწადინებულნი არიან, რომ დიდის ხნის მეგობრობა ორის დიდის ერისა არ დაირღვეს. («ნოვ. ვრ.»).

—

პორტ-არტურის ნავთ-სადგურთან რეიდზე, 14 თებერვლის ომის შემდეგ, გარდა ერთის ნაღმიანის გემისა, უპოვნიათ 6-ი უფეთქებელი თვითძცურავი ყუმბარა. (იქვე).

—

ინგლისელები ფლოტის გარდა ხმელეთის ჯარსაც აძლიერებენ. (იქვე).

—

იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გამოუცხადებია, რომ 60 ამერიკელი ჯარის კაცი ჩრდილოეთ კორეაში მიდის დასაცველად იმ ამერიკელებისა, რომელთაც უნსანში ოქროს მადნები აქვთო. (იქვე).

—

ჩინეთის ქვრივი იმპერატრიცა შარშან ნოემბერს სამოცდაათის წლისა შესრულებულა. ამ დღესასწაულის გამო, ჩინეთის იმპერატორს მანიფესტი გამოუცია და ჩინელებისთვის მრავალი წყალობა მიუნიჭებია. (იქვე).

—

### ახლო-აღმოსავლეთი.

ის ამბავი, რომ ოსმალეთი და ბულგარია მორიგდნენ და ხელშეკრულობა დასდესო, მართლდება. ორსავე სახელმწიფოს წარმომადგენლებს ხელი მოუწერიათ მორიგების ქაღალდზე. შინაარსი ხელშეკრულობისა ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ის-კი ნამდვილია, რომ ოსმალეთს საერთო ამნისტია მიუნიჭებია მაკედონიის აჯანყებულთათვის. ამისთანა მოულოდნელი ამბავი და მორიგების ხელშეკრულობის მოსწრაფება იმან გამოიწვიაო,—ამბობს «რ. ვ.»,—რომ რუსეთისა და ავსტრიის სამოქალაქო აგენტებს ურჩევიათ ოსმალეთისათვის, ჩქარა მოსპე განხეთქილებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ვიხელმძღვანელოთ მიურცშტეგის პირობის მეექვსე მუხლით და კომისია დავნიშნოთ და ოსმალეთის მოხელეების დაუკითხავად გავასამართლოთ ყველა ბრალდებულთა საქმეო. ხილმი-ფაშას ეს ამბავი დეპეშით მოუხსნებია პორტასთვის და პასუხი მიუღია, რომ, ვიდრე სახელმწიფოთა აგენტების დადგენილებას გავიგებდით, ჩვენ თვითონ გავათავეთ ეგ საქმე და ბულგარიასთან ხელშეკრულობაც დავდეთო.

—

სალონიკიდგან ატყობინებენ «ნ. ვრ»-ს, რომ სახელმწიფოთა სამოქალაქო წარმომადგენლებისა და ხილმი-ფაშას საერთო შრომას სასურველი შედეგი მოჰყვა, რომელიც აჯანყებულ ქვეყნებს დაამშვიდებსო. აგენტებსა და ფაშას შორის სრული კეთილ-განწყობილება სუფევს. ხილმი-ფაშა გონიერი და განვითარებული კაცი ყოფილა. იმან შეიგნო, რომ რეფორმების შემოღება აუცილებელია. თვით იკვლევს და საქმეს, თავისით იგონებდა საჭირო ღონისძიებას, მუშაობდა და აგენტებსაც შრომას უადვილებდა. რამდენიმე ასი დაპატიმრებული ბულგარელი უკვე გაანთავისუფლეს. სამს ვილაიეტში ქრისტეანეთა საჩივრებს სწრაფად არჩევენ და შესაწყნარებელს მაშინადვე აკმაყოფილებენ. ხალხის დამშვიდების საქმე რიგზე მიდის, თუმცა სტამბოლიდგან უცხო სახელმწიფოთა ჯარის აფიცრები ჯერ არ მოსულან.

—

«სავაჭრო სააგენტოს გუშინდელ დეპეშებში ომის შესახებ საყურადღებო არა არის-რა.

## ტფილისი

*** 29 თებერვალს, ჯვართაყვანის მცემლის კვირა-დღეს ყოვლად სამღვდელო ექვთიმე შეასრულებს წირვას ტფილისის მეტეხის ეკკლესიაში. წირვა დაიწყობა დილის 9 საათზე.

*** 25 თებერვალს პეტერბურგიდან კავკასიაში წამოვიდა კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე, ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე.

*** დღეს, 28 თებერვალს, დანიშნულია კრება რუსეთის ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებას კავკასიის განყოფილების წევრთა თავმჯდომარის ამოსარჩევად.

*** ტფილისის მიკროსკოპიულმა სააბრეშუმო სადგურმა დაასრულა აბრეშუმის თესლის გამოკვლევა. წელს, წინა წლებთან შედარებით, ძალიან საღი თესლი ყოფილა.

*** ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა კრება 15 მარტისათვის დაინიშნა. კრება, სხვათა შორის, მსჯელობას იქონიებს შავი ქვის გადატანის ტარიფის დაკლებისა და ჭიათურაში 6-კლასიან საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

*** უძრავ ქონებათა საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება მოკლე ხანში იქნება. აზრად აქვთ, ერთი თანამდებობა მოუმატონ ბანკში გამგეობის წევრისა.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობა მოკლე ხანში მოიწვევს ინჟენერს მეცს, რომელმა წალკის წყაროებიდან წყალი უნდა გამოიყვანოს ტფილისში. ინჟენერს მეცს გამგეობა წინადადებას მისცემს, ახლავ შეუდგეს წყლის გამოყვანის პროექტის შედგენას.

*** მოკლე ხანში ტფილისში დაარსდება მევენახე-მეღვინეთა მთავარ კომიტეტის განყოფილება.

*** 18 მარტს იჯარით გაიცემა ქალაქის თავისუფალი მიწები, რომელიც ნაძალადევსა და ლოტკის გორაზე მდებარეობს. მიწის იჯარით აღება მხოლოდ ტფილისის მცხოვრებთ შეუძლიანთ.

*** დღეს, 28 თებერვალს, განჯაში ქართული საღამო გაიმართება.

*** კავკასიის მიკროსკოპიულ სააბრეშუმო სადგურზე მოსამსახურეთ გადასწყვიცეს, თითო პროცენტი გადასდონ თავიანთ ჯამაგირიდგან შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** სამრევლო - საეკლესიო სკოლის მთავრობას გადაუწყვეტია, ბათომის ოლქში დასახლებულ გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის თორმეტამდე სამრევლო სკოლა დააარსოს. ჯერ-ჯერობით დაააარსებენ ორს სკოლას. სწავლება ამ სკოლებში ქართულს ენაზე იქნება. («ცნობ. ფურც.»).

*** აგრონომი ტიმოფეევი მოკლე ხანში შეადგენს და სამინისტროში წარადგენს მოხსენებას ამიერ-კავკასიაში ფორთოხლის სანერგის მოწყობის შესახებ.

*** რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ხელოსნები-სცენის მოყვარულნი ორს წარმოდგენას გამართავენ. ორთავეჯერ მთელი შემოსავალი გადაიდება შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა და დაობლებულ ოჯახობისათვის შემწეობის აღმოსაჩენად. ამ სცენის მოყვარულთ 60 მანეთი ამ საქმისთვის უკვე გადასდეს იმ ფულიდან, რომელიც დარჩენიათ წინანდელის წარმოდგენებიდგან.

*** 21 თებერვალს ქუთაისში «აფიცერთა საკრებულო»-ში წარმოდგენა გაუმართავთ რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად. შემოსავალი 170 მანეთამდე ყოფილა.

*** სად. მიხაილოვში ხელის მოწერით ფულის მოგროვება დაუწყიათ რუსეთის წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა მიკროსკოპიულად გასინჯული 27,465 კოლოფი აბრეშუმის თესლი გაჰგზავნა სპარსეთში. თესლი იქაურმა მთავრობამ გამოიწერა სპარსელ თა შორის მეაბრეშუმეობის გასავრცელებლად. აქაური აბრეშუმის თესლი სპარსეთში თურმე ძალიან ხეირობს.

*** მომავალ ხუთშაბათს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული.

*** ქალაქის ლომბარდს დიდი შემოსავალი აქვს. მოაქვთ სხვა-და-სხვა ნივთები და აგირავებენ. ნივთებს, მომეტებულ შემთხვევაში, არ იხსნიან; საშობაოდ ნივთები ბევრს დაუგირავებია. დამგირავებელთა რიცხვი ამ ჟამად დღე-დღეზე მატულობს, რადგან დღესასწაული მოახლოვებულია.

*** გუშინ და გუშინ წინ გაზეთი «ნოვოსტი» ტფილისში არ მოსულა. გუშინ არც «პეტერ. ვედომ.» მოგვსვლია.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ: ცხენის რკინის გზის ვაგონების სახურავი იმნაირად არის მოწყობილი, რომ ავდრიან დღეში წვიმა მგზავრთ თავზე ესხმება. ასეთ მდგომარეობაში არა ერთი და ორი ვაგონია და, მგონი, საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ უწესოებას.

*** იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად «მელიას თავ-გადასავალი», საყმაწვილო ზღაპარი, ალ. ნათაძის მიერ ბავშვებისათვის გადმოკეთებული. ეს ზღაპარი პირველად საყმაწვილო ჟურნალ «ჯეჯილში» იბეჭდებოდა.

*** ჩვენ გვატყობინებენ შემდეგს: წარსულ წელს, 20-ს დეკემბერს თბილისელ მკერვალს გიორგი ელიაძეს გაჰპარვია სადღაც თორმეტი წლის შეგირდი ესტატე ბოჭგუა, სოფ. სორტელი (სენაკის მაზრა, ქუთაისის გუბერნია). საუბედუროთ მშობლებს თავის შვილის დაკარგვა დღემდის ვერ შეუტყვიათ ბ-ნ ადა ელიაძისგან, რომელიც ოდნავადაც არ შეწუხებულა მის მიერ აყვანილ შეგირდის დაკარგვაზე.

მშობლები ამ ბავშვისა უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას მიაქციონ ყურადღება ამ უცნაურ გარემოებას და იქონიონ მხედველობაში ბავშვის აღმოჩენა. აღმომჩენელი წარადგინს ბავშვს შემდეგის ადრესით: მეორე პოლიციის ნაწილი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა № 11, ცაცანო ცაბურიას.

### მეტის-მეტი თავ-გასულობა

(წერილი რედაქციას მიმართ)

ამ დღეებში შევიტყვეთ ერთი ახალი ამბავი, რომელიც, ჩვენის აზრით, ყურადღების ღირსია.

ქალაქ კიევში დაარსებულა ერთი ახალი გაზეთი, «როსსია ი აზია», პრივატ-დოცენტის გრენის რედაქტორობით. გაზეთის მიმართულებაზედ ლაპარაკიც მეტია, მხოლოდ ჩვენთვის ის არის საყურადღებო, თუ რას სწერენ ამ გაზეთში ჩვენს შესახებ; სამწუხაროდ აქ არ შეგვიძლია მკითხველებს ვაუწყოთ ის, რაც ამ გაზეთში სწერია გადაჭარბებულის უწმაწურობის გამო, ამისთვის ცნობის-მოყვარეობის დაკმაყოფილებას ვურჩევთ ყველას იმავ გაზეთის საშუალებით; ჩვენ გვინდა მხოლოდ საზოგადოებას გავუზიაროთ უმთავრესი აზრი შემდეგის წერილისა:

„Божественное происхожденіе царицы Тамары“.

ახალი გაზეთი და მისი რედაქტორი ამ წერილით ვიღაცა «ავარა-ხანის» სახელით შეურაცხჰყოფს ჩვენს ეროვნებას; შეურაცხჰყოფს და აგინებს იმას, რაც ჩვენს მამა-პაპათ რამდენსამე საუკუნოების განმავლობაში სისხლით დაუცავთ და ჩვენც ვსცდილობთ ხელიდგან არ გავუშვათ ხლტუნს დროთა ვითარების გამო... მართალია, ახალი გაზეთის რედაქტორი ფილოლოგია და არქეოლოგიური გამოკვლევა იმან უკეთ უნდა იცოდეს, ვიდრე ზოგიერთმა ჩვენთაგანმა, მაგრამ როგორც ზემომოყვანილი წერილი ამტკიცებს, ის უფრო არხი-ტუტუცი უნდა იყოს; მაგრამ ეს ჩვენთვის სულ ერთია; და თუ იმით კინუგეშებთ თავს, როგორც ზოგიერთები ამბობენ, რომ ის ტუტუცი არის და პასუხის მიცემა მეტი არისო, დიდი შეცდომა იქნება და, ამით მხოლოდ ჩვენს თავს მოვატყუებთ. მართალია, ჩვენს შესახებ დაწერილ წერილს რუსებისთვის არავითარი მნიშვნელობა ექნება, რადგანაც ისეთი ქართული სიტყვებია რუსულის ანბანით ნასმარი, რომ უცებ ქართველიც ვერ გაიგებს მაგრამ, ვიმეორებთ, ამ წერილის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება და მოვალე ვართ გავიგოთ, რას აუმხედრებია ეს

## ფელეტონი

ნუ გგონია, ავო სულო,
მიტომა მდის თვალზედ ცრემლი,
რომ ქედს ვიხრი, ან მაშინებს
უწმინდური შენი გრდემლი...
ნუ გგონია, ხან თუ გული
დაიკვნესებს... დასძლევს წყლული,
ეგ იმიტომ, რომ არა მწამს
სათნოება, სიყვარული.
სულაც არა... ჩემი ცრემლი—
ეს ნამია ზეციური,
რომლით უნდა გადნეს, გალხვეს
მოძმის გული, გაყინული...
ჩემი კვნესა—ცეცხლი არის
დანთებული ციდან გულში,
რომ დაიწვას ეჭვი, შხამი.
შერეული სიყვარულში.
ჩემი წყლული ზვარაკია,
ძმის საშველად შეწირული...
რომ გამთელდეს მოძმის გული,
ურწმუნობით განგმირული;
რომ სიცოცხლემ გაიხაროს...
რომ გაშალოს რწმენამ ფრთები...
და ჰიმნს ციურს შეუერთდეს
სიხარულის ტკბილი ხმები...
აი მიტომ... მხოლოდ მიტომ
ვკვნეს და ვსტირი... მტკივა წყლული...
აბა, მითხარ: ვინ იშოვნა,
ვინ, უცრემლოდ სიხარული?!.

გარიყული.

***

კიდევ ფიქრები, მწარე ფიქრები...
აწჰყო ცხოვრებით სული კრულია.
ჟამთა სიავის მწვავე ვარამი
კაეშანივით გულს დამწოლია.

—

სით მოვუპოვო სულსა მშვიდობა,
სად მივადრიკო თავი სნეული?
საით გავექცე ცოდვის ქვეყანას,
სად არს ცხოვრება სავსე და სრული?!

—

სად არს ჩაგრულთა წმინდა საფარი,
ხალხი ძლიერი, თავისუფალი;
სად ველურს ძალს ქედს არ უხრიან,
თავს არ ადგია ქრისუფალი.

ლეო.

### შენ-კი მღერი!..

შენ-კი მღერი, მაგრამ მე... მე
რა მამღერებს ტუკმა-ნატრულს?
ბედისაგან შორს განდევნილს
მოძმეთაგან ლახვარ-დაკრულს!

შენ-კი მღერი, მაგრამ მე... მე
რა აღმიგზნებს ჩაგრულს გულს?
რომ მეც შენებრ ტკბილ სიმღერით
შევება მივსცე ჩემ ტანჯულ სულს.

შენ კი მღერი, მაგრამ მე... მე
რა შემიშრობს თვალთგან ცრემლებს?
რომ ვიშვებდე—და ჩანგის სიმთ
სასიმღეროდ ვჰკრავდე ხელებს.

შენ-კი მღერი მაგრამ მე... მე
რა მომიკრებს ტკბილ ოცნებას?
რომ ვიმღერო საამო ხმით
და მოვიშორდე მტანჯველ გრძნობას!.

ნ. ებვიტიშვილი.

### ნაწყვეტი.

მოელვარე მზე ქათქათებს,
ზამთარს ძალა ეკარგება,
სუსხი ჰქრება, და სამყაროს
გაზაფხული ეპარება.
ვაშა, ვაშა, ამ დროს ნეტარს,
და შენს შუქსა, გაზაფხულო!
ვაშა, ვაშა, ჩემის გულის
საიმედო სიხარულო!
შენ გელოდი, შენ გნატრობდი,
სულით შენკენ მოვილტვოდი
და, ჰა, შენაც შორი ახლოთ
მოაღწიე, მოახლოვდი,
მაშ, შენს მოსვლას გაუმარჯოს!
შენი იყოს ქებათ ქება;
რადგან ძალ-გიძს დამზრალ ქვეყნის
გაფურჩქვნა და აყვავება!!.

ბ. ჭელაშვილი.

***

(ვუძღვნი მაროს 6—ძეს).

გული მიღელავს, ბობოქრობს,
აქებს ის თანამგრძნობელსა;
ვერ ნახა... ახლა მოადგა
ის თქვენის გულის კედელსა.

—

უნდა შეიტყოს, თუ თქვენიც
გამსჭვალულია ფიქრითა,
და თუ ბობოქრობს ისიცა
სამშობლოს სიყვარულითა.

—

თუ უყვარს მოძმე ჩაგრული,
თუ სცდილობს მიშველებასა;
მაშინ გაუწევს ჩემიცა,
მას ძმობა-ერთგულებასა...

—

უნდოდა, სწადდა შეეტყო
მას თქვენი გულის პასუხი;
კლიტე დაადე კარებსა
და დააჭირეთ მარწუხი..

—

გაუღე კარი, გაუშვი
აწ იგი გამოფრენადა;
და კოკაშიაც რაცა სდგას,
გადმოსწი წარმოდენადა...

გ. ლადოშვილი.

საპრთფესიორთ კაცი ჩვენს წინაამდეგ. ეს მოვალეობა-კი, ჩვენის აზრით პირველად პრესას ეკუთვნის და შემდეგ ჩვენს წარმომადგენლებს. სწორედ საჭიროა ასე მოვიქცეთ და თუ დავრწმუნდით, რომ ჩიტი ბუდდვნად არ ეღირება, გრენს თავის გაზეთის საშუალებით ჰქროსტრატობა ესურვება. ჩვენ გულს ხომ მაინც დავიმშვიდებთ. თუ არა და, მით უფრო საჭირო იქნება ხმის ამოღება სიცრუისა და სიმდაბლის წინაამდეგ.

ბანძელ-უსახელული.

## ჩვენებური ამბები

**მლეთი.** (მთიულეთი). მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ვწერდით, სოფელმა დაადგინა სანოვაგეზე ნიხრი, მაგრამ მამასახლისი, რაღაც მიზეზებისა გამო, არ უცხადებს მედუქნეებსაო. ახლა მამასახლისმა გამოუცხადა ეს ნიხრი მედუქნეებს, მაგრამ მედუქნეები არ ასრულებენ ამ დადგენილებას და ჰყიდიან ისევ იმ ფასად, როგორც წინად ჰყიდდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, მამასახლისიც არ აქცევს ჯეროვანს ყურადღებას.

გორელი

—

**ხონი.** (ხონის უფასო სამკითხველოს წევრთა წლიური კრება). 5 იანვარს ხონის სამკითხველოს დარბაზში მოხდა წლიური კრება სამკითხველოს შემნახველ წევრთა. კრებას განსახილველად წარედგინა სამკითხველოს გამგეობისაგან შემდეგი საგნები: 1, დამტკიცება წარსულის 1903 წლის ანგარიშისა; 2, ამორჩევა ბიბლიოთეკის გამგეობის რამდენისამე წევრისა, ნაცვლად გამავალთა; 3, ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა.

კრების თავმჯდომარედ ამოირჩიეს ბ. ვ. გარდავაძე, მდივნად ბ. ი. ბახტაძე. კრების დაწყებისათანავე სამკითხველოს მმართველმა ბ-ნმა კიკალიშვილმა წაიკითხა ანგარიში. ამ ანგარიშიდან გავიგეთ, რომ სამკითხველოს საწევრო ფული, წინა წელთან შედარებით, ძალიან ცოტა შემოსულია საანგარიშო წელს; სამკითხველოსათვის ყველაზედ მეტი შემწეობა აღმოუჩენიათ კერძო კაცებს, რომლებიც სცხოვრობენ გარეშე ქალაქებში, მაგალითად: ტფილისში, ქუთაისში და ჭიათურაში. საერთოდ სამკითხველოს მთელის წლის მიმდინარეობაში დაუხარჯავს 290 მ. 42 კ., შემოსულია 478 მ. 8 კ. 1904 წლის, 1 იანვრისათვის, სამკითხველოს ნაღდ ფულად ჰქონია 186 მ. 66 კ.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა კრებას: «გაქვთ რაიმე სათქმელი ანგარიშის შესახებ, თუ არა»?! ერთმა წევრთაგანმა უპასუხა: «ანგარიში დამტკიცდეს, მაგრამ სანამ ანგარიში დამტკიცდებოდეს, მინდა გავიგო, თუ რა მიზეზია, რომ წევრთა რიცხვს და საწევრო ფულის შემოსავალს საანგარიშო წელს ასე საგრძნობლად უკლია (წინად წევრი სამკითხველოსი აღემატებოდა 100-ს კაცს, ეხლა-კი წევრთა რიცხვი თითქმის განახევრებულია). სამკითხველოს წევრმა იასონ ბახტაძემ წევრთა შემცირების მიზეზად ის აღიარა, რომ 1902 წელს მომხდარმა წლიურმა კრებამ სამკითხველოს გამგეობის წევრებად აირჩია ნამდვილი მუშაკი ხალხი, რამდენისამე კაცის სურვილის წინაამდეგ. ამ წვრილმანმა გარემოებამ ზოგიერთ არისტოკრატებს გული აუცრა სამკითხველოზედ.

სამკითხველოს მმართველმა ბ-ნმა პ. კიკალიშვილმა წევრთა შემცირება ახსნა ხონელების უვიცობით, შეუგნებლობით, თუმცა, სწორედ რომ ვსთქვათ, ეს ასე არ არის; თვითეული ხონელი ყოველ საზოგადო საქმეში მეტ შეგნებას იჩენს, ვინემ ბ-ი პ. კიკალიშვილი!—წევრმა მიხაკო ბახტაძემ წარმოთქვა: ბ-ნი მმართველი სამკითხველოსი, როგორც გავიგე, არ ღებულობდა რევიზიას, თუმც სარევიზიო კომისია ამორჩეული გვყავდა, რომ რევიზია ექმნა მმართველისა და გამგეობის მოქმედებისათვისო. ეს მოვლენა ბევრ ყოფილ წევრთაგანს გაეგო და აი რას გაიძახოდნენ: «ბ. პ. კიკალიშვილისა ყოფილა სამკითხველო და ღმერთმა კეთილად მოახმაროსო!» კიკალიშვილმა განაცხადა: «მე არავისათვის არ მითქვამს უარი ჩემთვის რევიზიის გამო; აბა, დამისახელეთ, ვინ მოვიდა ჩემთან სარევიზიოდ და არ მივიღეო! სარევიზიო კომისიის წევრმა იასონ ბახტაძემ უპასუხა: «მე გავუგზავნე ბ. პ. კიკალიშვილს მეორე სარევიზიო წევრი, ბ. ტ. ტაბუკაშვილი, სათხოვნელად, ნება მოეცა, რევიზია გვექნა, ვინაიდგან ხმები მესმოდა, რომ ბ. პ. კიკალიშვილი არ იღებს რევიზორებსაო.

ბაასის დროს, კრებაზედ გამოირკვა, რომ ბ. პ. კიკალიშვილს ჰშინებია სინათლისა, თუმცა-კი დიდის რიხით ჰყვიროდა კრებაზედ: «მე სინათლის არ მეშინიაო!.. ბ-ნ ტაბუკაშვილისათვის ესე ეპასუხნა სიმართლის მოტრფიალეს: «მე არ ვიცი, ამორჩეული იყო თუ არა წარსულ 1902 წლის კრებაზედ რევიზია; წაბრძანდით, იკითხეთ ბიბლიოთეკაში, ნახეთ კრების ოქმი და უკეთუ აღმოჩნდება, რომ რევიზია იყო ამორჩეული წარსულ კრებაზედ, მობრძანდით და შეასრულეთ თქვენი მოვალეობაო»!

საკვირველი პასუხია? ბ. პ. კიკალიშვილმა, როგორც სამკითხველოს მმართველმა, ძალიან კარგად იცოდა, რომ 1902 წლის ანგარიშის განხილვის დროს ოქმი არ შემდგარა, მაშასადამე, არც სარევიზიო წევრები იქნებოდნენ ოქმში ჩაწერილი. რევიზიის წევრები რომ ამოვირჩიეთ, ყველას ახსოვს, მომეტებულად უნდა დაჰხსომებოდა ბ. მმართველს, მაგრამ ხონურად მოიქცა.

თუ ბ-ნი პ. კიკალიშვილი, როგორც ბრძანებს, სიმართლეს ემსახურებოდა, როცა დაინახა, რომ რევიზიის წევრები არ აირჩიეს, რატომ არ მოახდინა არა-ჩვეულებრივი კრება და არ აუწყა საზოგადოებას «ბატონებო, მგონი არ უნდა იყვეს ამორჩეული სარევიზიო კომისია და ვალდებული ვართ, ამოვირჩიოთო!» არ არის კარგი, როცა ინტელიგენტი, შეგნებული ადამიანი, საზოგადოებას გულს უტეხს ფრიად სიმპატიურ დაწესებულებისადმი.

ბოლოს, ჩვეულებრივად, ხონურად შეეხნენ კორესპონდენტებს, პრესას, და ბიბლიოთეკის დარბაზში უწმინდურის ენით ვითომ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ისინი. ერთმა «ივერიის» მიმართულებასაც დასცინა, თუმცა მას არც «ივერიის» მიმართულების, არც «კვალისა» ან სხვა გაზეთისა ისე არ ესმის, როგორც თქვენს უმორჩილესს მონას არა ესმის-რა იაპონიურის ენისა!

ისინი სთელავენ კორესპონდენტის სახელს მხოლოდ იმიტომ, რომ კორესპონდენტმა მათი სიგლახე, სიცუდე გამოაქვეყნა! ერთმა გაბურჟუებულმა ინტელიგენტმა, რომელიც სამკითხველოში ძალიან ძვირად დადის, შემდეგი აზრი წამოროშა: არ გვინდა «ხონიდან» კორესპონდენტები! თითქო ამ ბურჟუას ნებაზე იყვეს დამყარებული მთელი პრესა და კორესპონდენტების მოსპობა—განადგურება! ბ. «ბურჟუამ» ნათლად დაგვარწმუნა, რომ ის გაურბის სინათლეს, მარად ბნელში სურს იჯდეს, მაგრამ ვერ მივართვით! ჩვენ ვებრძვით წყვდიადს და გვსურს ბ. ბურჟუა გამოვიყვანოთ სიბნელიდგან.

კენტი.

## რუსეთი

ვიტებსკში მცხოვრებ ებრაელთ შეუკრებიათ ორი ათასი მანეთი და გადაუციათ ადგილობრივ გუბერნატორისათვის, რომ ბრძოლის ველზედ დაჭრილთ მოახმაროს. შეჰპირებიან აგრედვე, კიდევ მოვაგროვებთ შემოწირულებასაო. («ნოვოე ვრ.»).

— ფრაუენბურგის (რიგის გუბერნია) ერთ ეკლესიაში, ჯვარის წერის დროს, შემდეგი ამბავი მომხდარა: როდესაც ჯვარის წერა გაუთავებია მოძღვარს და ახლად შეუღლებულნი დაულოცნია, პატარძალს ერთბაშად გულს შემოჰყრია და იქვე უეცრად გარდაცვლილა. (იქვე).

— საფრანგეთში გარდაიცვალა ცნობილი ბანკირი ბლაზი ფიდლერი. ამ ბანკირის ნათესავები თურმე ვარშავის გუბერნიაში სცხოვრობენ, მაგრამ ფიდლერს მთელი თავისი ქონება და 1.129,149 ფრანკი ცნობილს ებრაელს არქიმილიონერს, ბანკირს ალფონს როტშილდს უანდერძა. ეხლა როტშილდს გაუგია, რომ ფიდლერს ახლო ნათესავები ჰყოლია, განუზრახავს უარი სთქვას მემკვიდრეობაზედ და ნაანდერძევი 1.129,149 ფრანკი ფიდლერის ნათესავებს არგუნოს. (იქვე).

### მცირე შენიშვნა ბაქოში გამართულ ქართულ საღამოს შესახებ.

(წერილი რედაქციის მიმართ)

თებერვლის დამდეგს ბაქოში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო. ამ საღამოს უძღვნეს რეცენზია ბ-ნთ პეტრე მაჭავარიანმა და წყალტუბელმა. პირველმა «ივერიაში» და მეორემ «ცნობის ფურცელში». ორთავე რეცენზენტები სიმართლეს ასცდნენ, საქმის გარემოება არც ერთს მათგანს არ გაუგია, დამყარებულან მხოლოდ მითქმა-მოთქმაზე, ფანტაზიისათვის მიუციათ თავისუფლება და ისე შესდგომიან საღამოს კრიტიკას და, რასაკვირველია, ამ გზით სრულიად შემცდარან.

ამ სტრიქონების დამწერი ზემოხსენებულ საღამოს ბედ-იღბალში დაინტერესებული იყო და ახლოსაც ედგა საღამოს გამართვის საქმეს და ამისთვის, იმედი მაქვს, ნებას მომცემთ ორთავე რეცენზენტის შეცდომანი შევასწორო, რადგან ეგეთი შეცდომანი ზოგჯერ მავნებელია საღამოსთვის.

ბ-ნი მაჭავარიანი «ივერიაში» წუხს სცენის საზოგადოდ ქართულ საღამოს და მასთან დასძენს, ვითომც ბაქოს ქართველ ინტელიგენტთა შორის, ინტრიგების წყალობით, საღამოს მცირე შემოსავალი ჰქონდაო, რადგან ზოგიერთმა ქართველმა თავიანთ სახლში გამართა ამ საღამოს ღხინი და ამით მოაკლდა ჩვენს საღამოს მუშტარიო. ეს აზრი შემცდარია და მასთან ფანტაზიის ნაყოფიც, რადგან არავითარ ინტრიგას ადგილი არა ჰქონია, არც ერთის ქართველის ოჯახში იმ დამეს არავითარი ღხინი არა ყოფილა, არამედ ყველანი საღამოზედ იყვნენ და ხელს უწყობდნენ საღამოს და, თუ ერთი ან ორი ოჯახი იღხინდა, იმათ საპატიო მიზეზიც ჰქონდათ, რაც ყველა საღამოს გამმართველებმაც იციან.

ბ-ნი წყალტუბელი თითქო სულ არ ყოფილა საღამოზედ, რადგან სულ შემცდარია და ისიც არ სცოდნია ბ-ნმა ფალიაშვილმა ტფილისიდან ჩამოიყვანა ხორო თუ მოყვარულთა გუნდი იყო. წაეკითხა მაინც დაბეჭდილს საღამოს პროგრამა და გაიგებდა. ბ-ნი ფალიაშვილი მხოლოდ ლოტბარობდა მოყვარულთა გუნდს, რისთვისაც დავიბარეთ თოთხის დღით და ასე მცირე დროში, რაც შეიძლება, პირნათლადაც შეასრულა მოვალეობა, რისთვისაც მადლობის ღირსია. არ მოსწონებია ბ-ნ წყალტუბელს წარმოდგენაც და ამბობს, უხეირად ჩაიარაო. ქ-ნ კახიძისა და ბ-ნ ქორიძის მეტი ყველა გამოუცდელი სცენის მოყვარულნი იყვნენ და რა ხეირი დაეყრებოდა წარმოდგენასაო. ამაშიაც სცდება ბ-ნი წყალტუბელი, რადგან წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და არც ის სცოდნია წყალტუბელს, რომ წარმოდგენაში, გარდა დასახელებულთა, იღებდნენ მონაწილეობას ბ-ნნი გამრეკელი და ჩივაძე, რომელთა შესახებ არა მგონია წყალტუბელმა სთქვას, გამოუცდელი სცენის მოყვარულებიაო, რადგან მათ თამაშს, განსაკუთრებით კომიკურსა და სოვდაგარსობის როლებში, არა ერთხელ დაუტკბია ბაქო-ბალახნის ქართველნი. შეიძლება წყალტუბელი მოყვარულთაგან თხოულობდა სარა ბერნარისებურ თამაშს?! საზოგადოებას-კა მოეწონა და უხვის ტაშის კვრით დააჯილდოვა მოთამაშენი.

რაც შეეხება საღამოს შემოსავალს, მართალია შარშანდელზედ ნაკლებია, მაგრამ ამის მიზეზი სულ სხვაა, და ამ სხვა მიზეზის წყალობით ყველა საღამოებს ბაქოში წრევანდელს უარესი ბედი ხვდათ, ვიდრე ქართულ საღამოს. საზოგადოდ, წრევანდელს საღამოზე სამდურავი არავის გვეთქმის, რადგან ქართულ საღამოს წმინდა მოგება 1,400 მანეთამდე დარჩა და სხვა საღამოებს ამის ნახევარიც ენატრებოდათ.

პ. გელოვანი.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 27 თებერვალს, ქართულ მსახიობთა ამხანაგობამ გამართა წარმოდგენა, რომლის შემოსავლის ერთი მესამედიც გადადებული იყო დაჭრილ მეომართა ოჯახების შემწეობის აღმოსაჩენად.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. კარგები იყვნენ ქ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნ. გაბუნია, გედევანოვი და სხ.

—

დიდ-მარხვის მეხუთე კვირას ჩვენი დრამატიული კომიტეტი აპირებს «დალილას» წარმოდგენას საარტისტო საზოგადოების თეატრში. ზეინაბის როლს ამზადებს ქ-ნი ქ. ანდრონიკაშვილისა. უფრო ადრე უნდოდათ, მაგრამ ზეინაბის როლის მომზადება ადრე ვერ მოახერხდა.

—

მოყვარულთა დასიც ემზადება ამ პიესის წარმოსადგენად. როლები უკვე განაწილებული აქვთ თავიანთ შორის და პირველი წარმოდგენა დაუნიშნავთ ნათლისღების ... აპრილის დამდეგს. როგორც გადმოგვცეს, სოლეიმან-ხანის როლი უკისრნია ა. ყანჩელს, ზეინაბისა—გბილის ექიმ-ქალს ელ. რომანოშვილს, ოთარ-ბეგისა—ი. ზურაბიშვილს და სხვ.

## სასამართლო

24 თებერვალს ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარის მეღვინოისა, რომელსაც ბ-ნის ჩხარტიშვილის მეუღლე უწოდა სიტყვიერად და მოქმედებით შეურაცხყოფისაც. ბ-ნმა მოსამართლემ სიტყვიერად შეურაცხყოფისათვის დამნაშავედ არ იცნო მეღვინოე, ხოლო მოქმედებით შეურაცხყოფისათვის შვიდის დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა. მეღვინოეს იცავდა კერძო ვექილი პავლე ჩხეიძე, ხოლო ჩხარტიშვილის მეუღლეს—ბ-ნი გრიგოლ მახარაძე.

### „ივერიის“ ფოსტა

**ნ—ნს. ი. ბ—ძს.** თქვენი ერთი წერილი დაიბეჭდება. მეორე-კი არა-კერძო ხასიათი აქვს. ახლად გამოგზავნილიც დაიბეჭდება. დაგვიანებისათვის ნუ დაგვემდურებით.

**გ. ლადოშვილს.** თქვენს გამოგზავნილს ოთხს ლექსში მხოლოდ ორს დავბეჭდავთ «რა უყოთ, რომ» და „გული შიდელავს“. წინად გამოგზავნილი «სურვილი» არ დაიბეჭდება.

**მ. გ—ს.** თქვენი ლექსი, «ჩემს იდეალს» არ დაიბეჭდება.

**ბ. კილაშვილს.** თქვენი ლექსი «ნაწყვეტი» დაიბეჭდება. გთხოვთ მხოლოდ ქაღალდის ერთს გვერდზედ სწეროთ. თქვენ ცალ გვერდზედ კორესპონდენცია მოგიქცევიათ და მეორეზედ-კი ლექსი.

**საბუნიას პ—ს.** თქვენს ლექსი «რად მინდა, რადა?!» სიამოვნებით დავბეჭდავთ, რაც შეიძლება, მალე. ძველი გამოგზავნილი ლექსიც დაიბეჭდება.

**«ცეცხლს».** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**ბ—ო. ქ. კ—ს.** ნუ დაგვემდურებით, რომ თქვენს სურვილს ვერ ვასრულებთ. არ არის მაინცა-და-მაინც საჭირო. განზრახ თქვენი წყენა ფიქრად არ გქონიათ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 თებერვალი.

**პეტერბურგი.** დეპეშა მეფის მოადგილისა 26 თებერვლის თარიღით, მუკდენიდან გამოგზავნილი: «პორტ-არტურის ციხის კომენდანტი იუწყება: ასე, ღამის 12 საათი იქნებოდა, 26 თებერვალს, ჩვენებმა შეამჩნიეს გემები, რომელიც ნაღმოსნებს ჰგავანდნენ. ბატარეიებიდან სროლა დავუწყეთ. ღამის მესამე საათის 40 წუთი იყო, ჩვენი ნაღმოსნები გავიდნენ ზღვაში და ასე დილის ოთხი საათი იქნებოდა, შეხვდნენ მტრის ლიაოტეშენის კანდელას დასავლეთით. რამდენჯერმე ისროლა მტერმა და მერე წავიდა სამხრეთს, შანდუნისაკენ, ჩვენი ნაღმოსნები-კი პორტ-არტურს დაბრუნდნენ. დილის ექვს საათზე კვლავ ზღვაში გავიდნენ ჩვენი ნაღმოსნები და ნახევარ საათის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ. ცხრის ნახევარზე დილით იაპონელებმა აუტეხეს სროლა ჩვენს კრეისერებს და ციხეს. მტერს 14 გემი აქვს. ეს სროლა სულ ლიაოტეშენის გულისთვისაა.

**პეშავერი.** მაიორი მოჰამედ-ჰუსეინ-ხანი, ძმა ემირისა, რომელიც ომარ-ხანთან არის დანიშნული, ძმის ბრძანებით მოჰკლეს იმიტომ, რომ ომარ-ხანის გაცევას ქაბულიდან ხელი მოუმართაო.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო დეპეშა, რომ იაპონელთა ჯარები ფინ-ხუანჩენსა და დალუშანს მოვიდნენო.

**ტიანძინი.** («რეიტერის სააგენტო») იაპონიის რაზმმა მდინარე იალუდან სტევი მოქმედება დაიწყო. ამ ჟამად ნიუ-ჩუანიდგან 70 მილის მოშორებით 35 ათასი რუსის ჯარი სდგასო და ძალიან კარგი სიმაგრე უჭირავთ ლიაოიანსა და ხაი-ცზინში, სადაც ბრძოლას ელოდებიან.

**ნაგასაკი.** («რეიტერის სააგენტო»). ოთხასი კაცი, რომლებიც იაპონელებმა შეიპყრეს სავაჭრო გემებზე გაანთავისუფლეს, ხოლო ორმოცი ოფიცერი, ამავე გემებზე შეპყრობილნი, ჯერ ისევ სასებოში არიან.

**შანჰაიგუანი.** (საკუთარის კორესპონ.), კუროპატკინის დანიშნამ შორეულს აღმოსავლეთში დიდი გავლენა იქონია.

**ტომსკი.** სადგურ იურტას მახლობლად, ირკუტსკს მიმავალი სამოსტო მატარებელი გზიდან გადავარდა. დაიმსხვრა ოთხი ვაგონი. ერთი ყაზახია მოკლული, შვიდი კაცი მძიმედ არის დაჭრილი, ხუთი მსუბუქად.

**ლონდონი.** როგორც „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, შესაძლებელი არ არის, რაიმე ოფიციალური ცნობა მიიღონ იაპონელთა ვალის აღების პროექტის შესახებ. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ იაპონია სესხს ლონდონში იშოვისო.

**პორტ-არტური.** (საკუთარის კორესპ.). ვიცე-ადმირალს მაკაროვს მიეგებნენ ყველა საზღვაო უწყების მოხელენი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე. მიართვეს პურმარილი და წმიდა ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედის ხატი. ადმირალმა მადლობა გადაუხადა და სადგურიდგან გადავიდა კრეისერ «ასკოლდზე», რომელზედაც თვისი დროშა აამართვინა.—გაზეთი «კურიერი დე-ტიანძინი» იუწყება: იმ დროს, როცა იაპონელებმა მოინდომეს პორტ-არტურის შესავალის ჩახერგვა, სულ ხუთი სავაჭრო გემი დაღუპვიათ, ნაღმოსნებს გარდა. «ნოვი კრაიმ» დაიწყო კორეის შესახებ წერილების ბეჭდვა, რომ ოფიცრებს გააცნოს მომავალი ბრძოლის ველი.

**ვლადივოსტოკი.** დეპეშა «რეიტერის სააგენტოსი», ვითომ ჩვენს კრეისრებს იაპონელ ესკადრასთან ბრძოლა ჰქონდათ, მოგონილია.

**ლონდონი.** («რეიტერის სააგენტო»). პორტ-არტურიდან დეპეშა იუწყება, რომ იაპონიის ფლოტი გუშინდამ ნავთსაგურის წინ გაჩნდა და ციხეს დროგამოშვებით ესროდა ყუმბარებს დილის რვა საათამდეო.

27 თებერვალი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და მიიღო სამეფო ქალაქის საყოველდღეო გაზეთის წარმომადგენელნი, ამორჩეულნი უქვეშევრდომელესის ადრესის მასართმევად—გამომცემელი გაზეთ «ნოვ. ვრემ.» სუვორინი და რედაქტორი «პეტერბ. ვედ.»-ის სტოლიპინი. ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა ადრესი და ინება და მიჰმართა ადრესის მიმრთმევთ შემდეგის მაღალ-მოწყალე სიტყვებით:

«ვმადლობ პეტერბურგის მწერლობას იმ მშვენიერ გრძნობისათვის, რომელიც გამოთქმულია ადრესში. ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს მწერლობას ამ ბოლოს დროს და დავრწმუნდი, რომ იგი სისწორით განჰმარტავს დღევანდელს ამბებს. მისმა აღფრთოვანებამ და საერო სულით გამსჭვალვამ დიდი სიამოვნება მაგრძნობინა. იმედი მაქვს, რომ შემდეგაც რუსეთის მწერლობა ღირსი იქმნება თვისის მოწოდებისა—გამომთქმელი დიდის ქვეყნის გრძნობისა და აზრისა და თავის დიდს გავლენას, რომელიცა აქვს საზოგადოების გულსა და სულზედ, იმისათვის გამოიყენებს, რომ მხოლოდ სიმართლე შთაუნერგოს».

26 თებერვალს, ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III-ის ხსენების დღეს, პეტრე-პავლეს ტაძარში გადახდილ იქმნა მოსახსენებელი წირვა. წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრე თეოდორეს ასული და მათი უმაღლესობანი.

**ვლადივოსტოკი.** კორეის მკვიდრთ, რომელნიც აქ არიან, გამსჭვალულთ რუსეთის მიმართ თანაგრძნობით, სთხოვეს კომენდანტს, მოგვთხოვეთ, რამდენიც საჭირო იყოს, მუშები ციხის ასაგებადაო.

**პარიჟი.** ეჭვი არ არის, რომ ზღვათა სამინისტროს კანცელარიის მწერალმა მოინდომა და სცადა გაეცა საბუთები იაპონიის საზოგადო აგენტისათვის, მაგრამ არ ჰგონებენ, რომ თვისი განზრახვა აღსრულებაში მოეყვანოს.

**სოფია.** (ოპოზიციის მომხრეთაგან). ხილმი-ფაშამ წარუდგინა პორტას მიერ სამოქალაქო აგენტებთან ერთად შემუშავებული პროექტი დებულებისა ბულგარიაში ლტოლვილთა და იქ დასახლებულთა დაბრუნებისა.

**ვლადივოსტოკი.** (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ნაგასაკიდგან შანჰაის მოსულნი ევროპიელნი დარწმუნებით ამბობენ, რომ იაპონიის ფლოტი პორტ-არტურთან ბრძოლაში ძალიან დიაზიანდაო. იაპონიის ყველა დოკში დიდი მუშაობაა დაზიანებულ გემთა შესაკეთებლადაო. იაპონელნი ატაცებულნი არიან გუნებაზედ არიან. ქუჩა-ქუჩა დადიან ბრბონი მუსიკით და აქვთ ერთი ყვირილი და ჟრიამული. ხალხში მრავალი ტყუილი ცნობანია გავრცელებული.

**ბერლინი.** აქ არა სჯერათ ლონდონის გაზეთებისაგან გავრცელებული ამბები, რომ ვითომ იაპონიის ჯარები ფინ-სუან-ჩენსა და დაგუნშანს მივიდნენო.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). როგორც კერძოდ იუწყებიან 22 თე-

ბერვლიდან იაპონელებმა სამჯერ ესროლეს ვლადივოსტოკს ყუმბარები.—სეულიდგას იუწყებიან, იქ კიდევ ექვსი კაცი დაიჭირეს, რომელთაც რუსთა მომხრეობა ჰბრალდებათ.—პენიანის ჩრდილოეთით რუსეთის და იაპონიის მზვერავებს შებრძოლება მოსვლიათ; რუსებმა უკან დაიხიეს; არც ერთ მხარეს ზიანი არა მოსვლია-რა.

**ნიუ-ჩუანი.** («რეიტერის სააგენტო»). ნამდვილი ამბები მოვიდა, რომ 18 თებერვლიდან ფინ-სუან-ჩენსა და მის მიდამოებში მშვიდობიანობაა და არავითარიმე ხმა არ ისმის იაპონელთა მოახლოვებაზე. ამას წინად გავრცელებული ხმები, ვითომც იაპონიის ჯარები მდინარე იალუს დასავლეთის ნაპირს მოადგნენო, ტყუილი გამოდგა.—რუსის ჯარების შეგროვება ლიაოიანის მიდამოებში, სადაც ყველა შენობები დაჭერილია, ძლიერ აწუხებენ ჩინელებსა. ყველა სადგურებთან, რომლებსაც-კი რაიმე მნიშვნელობა აქვთ, რუსეთის ჯარებია დაბინავებული კარავებში.

**მოსკოვი.** საფარმაცევტო საზოგადოებამ მიართვა გენერალ კუროპატკინს ხელოვნური ყუთი, რომელშიაც მოთავსებულია საგზაო აფთექა. ხატი, რომელიც კუროპატკინს თავად-აზნაურობამ მიართვა, არის ძველებური ხატი გიორგი ძლევა-მოსილისა, შემკული ძვირფასის ქვებით და შემოკრული ძვირფასს ძველებურს ფარჩაში.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

**პეტერბურგის ბირჟა**
24 თებერვალი 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,75 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6,7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 90½ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 350 წვრ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 308 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 246 წვრ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

**რკინის გზის მიმოსვლა.**
15 ოკდომბრიდან 1903 წ.
(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 3 წ

**ე) შორაპნიდან:**

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

**ხეხილის ნერგები**

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება მუშტრებს უფასოთ. (10—7)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს, ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—3)

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებით სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6—33)




გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქაჯანა**

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

**„მ წ ყ ე მ ს“-ზე**

და

რუსულ „П А С Т Ы Р Ь“-ზე
XIX

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | ორივე გამოცემა . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის | 6 თვით „მწყემსი“ . 2 მ. |
| დამატებით . . 4 მ. | რუსული . . 2 მ. |
| რუსული . . 3 მ. | ორივე გამოცემა . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლომაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ ჰამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

**НА 1904 ГОДЪ**

на ежедневную политическую и литературную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(XXI-й годъ изданія)

ИЗДАНІЕ ГАЗЕТЫ БУДЕТЪ ВОЗОБНОВЛЕНО СЪ 15 го ЯНВАРЯ 1904 г.

Подписчики нынѣшняго года, какъ городскіе, такъ и иногородные, желающіе подписаться на будущій годъ, вносятъ 6 руб. за годъ и 3 руб. за полгода. Новые же подписчики на обычныхъ основаніяхъ вносятъ 7 руб за годъ и 4 руб. за полгода.

Допускается разсрочка платежа. при подпискѣ—4 р., къ 1-му іюня—3 р. для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Лицъ, желающихъ подписаться, контора проситъ увѣдомить ее о томъ и внести плату заблаговременно, чтобъ успѣть заготовить адреса.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты. Барятинская ул. д № 8.

Редакторы Г. и В. Тумановы. Издатель К. Тумановъ.

Печатается и въ среднихъ числахъ января поступитъ въ продажу составленная редакціею „Нов. Об.“ книга:

# Къ 20-лѣтію изданія „Новаго Обозрѣнія“

цѣна съ пересылкой—30 коп.

Годовые городскіе и иногородные подписчики „Нов. Об.“ получаютъ эту книгу безплатно.

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

**დაარსებულია 1847 წელს**

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოკლდგარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟების ვაგონების და ვაგონ ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—18)

# გ ა მ გ ე ო ბ ა

ქონებათა ცეცხლისაგან დამზღვევის ტფილისის საურთიერთო

# საზოგადოებისა

პატივისცემით აუწყებს საზოგადოების ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის თებერვლის 29, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

**ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა.**

განსახილველია და დასამტკიცებელი:

1) ანგარიში გამგეობისა 1903 წლისა.

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1904 წლისათვის.

3) გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრების დადგენილებანი იმის შესახებ, თუ სად და როგორ იყოს შენახული თანხა საზოგადოებისა

და 4) არჩევანი თანამდებობის კაცთა საზოგადოების საქმეთა განსაგებლად:

ა) გამგეობის ერთის წევრისა, პ. ი. ალიბეგოვის მაგიერ, რომელიც იყო თავმჯდომარედ გამგეობისა და რომელიც ვადის შესრულებამდი ანებებს თავს.

ბ) გამგეობის წევრების ერთის კანდიდატისა, ნ. ა. გრიქუროვის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე გაუვიდა ვადა კანდიდატობისა.

გ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთი კანდიდატისა, ი. ნ. მარკოზოვის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ თავს ანებებს სამსახურს.

დ) სარევიზიო კომისიის ორის წევრისა, გ. ი. თამამშევისა და კ. მ. გამაზოვის მაგიერ.

ვ) სარევიზიო კომისიის წევრთა ორის კანდიდატისა, თ. ვ. გ. ბებუთაშვილისა და ზ. დ. მამულოვის მაგიერ. ამასთანავე გამგეობა პატივისცემით აცნობებს ბ-ნთ წევრთ-დამზღვეველთ, რომ

1) იმათ, ვისაც არ შეუძლიან დაესწროს კრებას, ნება აქვთ თავიანთი ხმა გადასცენ ვექილობით მხოლოდ დამზღვეველთ და არა სხვას;

2) ხელის-მოწერა ვექილობის ქაღალდზედ უნდა შემოწმებული იყოს გამგეობის მიერ ან საზოგადო წესისამებრ;

3) მღდლობითის სქესის წევრთ შეუძლიანთ ვექილობა მისცენ თავიანთ მამებს, ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ღვიძლ ძმებს. იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ყველა ესენი არ ირიცხებიან საზოგადოების წევრებად. ამავე საფუძვლით ირიცხება ვექილობა ჰქონდეთ მამათაგან განუყრელს მათს შვილებს

და 4) ვექილობანი უნდა წარედგინოს გამგეობას დილის 12 საათზედ არა უგვიანეს სიზოგადო კრების წინა დღისა. (2—2)

# ჩ ა ი

**მხ ნაპობა ჩაის ვაჭრობისა**

**ვ. ვისოცკი და კº**

მ ო ს კ ო ვ ს.

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მირის თანხა **6.000.000** მ ა ნ ე თ ი.




წლიური აღებ-მიცემობა **20.000.000** მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისებების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, საცა იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

**ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.**

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**,—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით.**

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

**განყოფილებანი:**

ოდესას, ვარშავას, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრეთვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-о“.

დეპეშებისათვის: „Корабликъ“.

**ჩაი თ ა ვ რ ო ბ ლ ბ ს**